<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.12.2023, სარეგისტრაციო კოდი: 460070000.05.001.102213) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „ბ“, „ღ“ და „ც“ პუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. მე-11 მუხლის 1-ლი-მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 11[1] მუხლი:

„მუხლი 11[1]. ტურისტული საქმიანობის სუბიექტების რეგისტრაცია

1. ტურისტული საქმიანობის სუბიექტების შესახებ მონაცემების აღრიცხვის უზრუნველსაყოფად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აწარმოებს ტურისტული საქმიანობის სუბიექტების აღრიცხვას და მონაცემების დამუშავებას.

2. ტურისტული საქმიანობის სუბიექტები: ტურისტული გიდი, ტუროპერატორი, ტურისტული სააგენტო (ტურაგენტი) - ვალდებულნი არიან, ტურისტული საქმიანობის შესახებ მონაცემების აღრიცხვის უზრუნველსაყოფად, დარეგისტრირდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ტურისტული საქმიანობების სუბიექტების ბაზაში.

3. ტურისტული საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, შესაბამისი საქმიანობის დაწყების, შეწყვეტის ან/და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში, წერილობით მიმართოს საჯარო სამართლის იურიდიული პირს – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას და აცნობოს შესაბამისი ინფორმაცია.“.

4. 33-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე რისკის შემცველი ტურისტული საქმიანობების ნუსხას და განხორციელების წესს, აგრეთვე რისკის შემცველ ისეთ ტურისტულ საქმიანობებს, რომელთა მიმწოდებლებს ევალებათ პროფესიული პასუხისმგებლობის ან/და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის ფლობა, ასევე დაზღვევის პირობებს და განხორციელების წესს.“.

5. 34-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 34. რისკის შემცველი ტურისტული საქმიანობის განხორციელება

1. რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2. რისკის შემცველი ტურისტული საქმიანობების სფერო და კომპეტენციები დგინდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით.

3. რისკის შემცველი ტურისტული საქმიანობის განხორციელების უფლება გააჩნია მხოლოდ ამ კანონის შესაბამისად უფლებამოსილ პირს.

4. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება ის რისკის შემცველი ტურისტული საქმიანობები, რომელთა განმახორციელებელი პერსონალის სერტიფიცირებას მოახდენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. საქართველოს მთავრობის დადგენილებით ასევე განისაზღვრება ის ცალკეული რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებები, რომელთა მიმწოდებლებისათვის საქმიანობის უფლების მინიჭებას მოახდენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი სუბიექტი.

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აწარმოებს რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების მიმწოდებლების რეესტრს.

6. სერტიფიცირებული პირების მიერ სერტიფიცირების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამრღვევი პირების მიმართ სათანადო ზომების მიღებას.“.

6. 35-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

7. მე-36 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. იმ ტურისტული გიდის საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების განხორციელების წესი, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“.

8. მე-49-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელება იმ პირის მიერ, რომელსაც არ აქვს შესაბამისი სერტიფიკატი, – გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 6 000 ლარის ოდენობით.“.

ბ) 2^1 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელება ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნ(ებ)ის დარღვევით გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.“.

დ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ტურისტული საქმიანობის სუბიექტის მიერ მომსახურების განხორციელება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ტურისტული საქმიანობის სუბიექტების ბაზაში რეგისტრაციის გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.“.

ე) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“5. საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვის ამ კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.“.

ვ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ტუროპერატორისა და დაკავშირებული ტურისტული მომსახურების მონაწილის მიერ შესაბამისი საქმიანობის განხორციელება გადახდისუუნარობისგან დაცვის უზრუნველყოფის

გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარის ოდენობით.“

ზ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების გარეშე – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.“

თ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ზედამხედველობის უფლებამოსილი წარმომადგენლისთვის საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა – გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.“

ი) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმები გადაიხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.“

კ) ამ მუხლის მე-10-მე-13 პუნქტები ამოღებულ იქნას.

9. 50-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის:

ა.ა) „ა” ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

ა.ბ) „გ” ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ა.გ) „დ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) 2026 წლის 1 ივნისამდე დაამტკიცოს რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების ნუსხა, საქმიანობის განხორციელების წესი და რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელების ტექნიკური რეგლამენტი.“.

ა.დ) „ე” ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს

ა.ე) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) 2030 წლის 1 ივნისამდე დაამტკიცოს გადახდისუუნარობის უზრუნველყოფის ოდენობის გამოთვლის წესი და პროცედურა;“.

ბ) მე-2 პუნქტის:

ბ.ა) „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) 2027 წლის 1 იანვრამდე შეიმუშაოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა;”.

ბ.ბ) ბ^2 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ^2) 2026 წლის 1 ივნისამდე დაამტკიცოს რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი პერსონალის სერტიფიცირების წესი და პირობები.”.

ბ.გ) „გ“-„ე“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

ბ.დ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) 2030 წლის 1 ივნისამდე შეიმუშაოს ტურისტული პაკეტებისა და დაკავშირებული ტურისტული მომსახურებების გაყიდვიდან მიღებული მთლიანი შემოსავლების შესახებ ანგარიშის ფორმა;”.

ბ.ე) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) 2030 წლის 1 ივნისამდე შეიმუშაოს ტუროპერატორისა და დაკავშირებული ტურისტული მომსახურების მონაწილის გადახდისუუნარობისგან დაცვის სერტიფიკატის ფორმა;”.

10. 51-ე მუხლის:

ა) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

7. „ტურიზმის შესახებ“ კანონის მე-11^1 მუხლი, 33-ე მუხლი, 34-ე მუხლი, 36-ე მუხლის მე-5 პუნქტი და 49-ე მუხლის მე-7-მე-11 პუნქტები, ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივნისიდან.“.

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„8. ამ კანონის 49 მუხლის 1-1[3] პუნქტები, ასევე, 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.“.

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. ამ კანონის მე-13–26-ე მუხლები და 49-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2027 წლის 1 ივნისიდან.“.

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. ამ კანონის 27-ე-32-ე მუხლები და 49-ე მუხლის მე- 5 და მე-6 პუნქტები ამოქმედდეს 2030 წლის 1 ივნისიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**